საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 11 2020 წლის 8 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ომში დაღუპულ გერმანელთა საფლავების მოძიებისა და შესაბამის სამხედრო სასაფლაოზე გადასვენების ნებართვის გაცემის შესახებ

1. „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ომში დაღუპულ გერმანელთა საფლავების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის 1993 წლის შეთანხმების შესაბამისად, ნება დაერთოს ამავე შეთანხმების მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ორგანიზაციას – გერმანელი სამხედრო ტყვეების საფლავებზე ზრუნვის სახალხო კავშირს (Volksbund Deutsche Kriegsgräberfürsorge e.V):

ა) აწარმოოს გერმანელი ჯარისკაცების სხეულის ნეშტების მოძიება (საკვლევი გათხრების წარმოებისათვის საჭირო სამუშაოები):

ა.ა) ქ. რუსთავში, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს სარგებლობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო (პირუტყვის გადასარეკი ტრასა) დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №02.05.01.385);

ა.ბ) გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალი სამგორის მიმდებარედ არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (პირუტყვის

გადასარეკი ტრასა) მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №81.13.01.227);

ა.გ) მარნეულის მუნიციპალიტეტში, კაპანახჩი იაღლუჯის ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (საძოვარი) მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №83.20.03.584);

ბ) სამუშაოების განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს შესაბამისი სამშენებლო ტექნიკა და დაიქირაოს ადგილობრივი პერსონალი;

გ) ამ პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობები განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ომში დაღუპულ გერმანელთა საფლავების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის 1993 წლის შეთანხმებისა და სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს თანდართული რეკომენდაციების (დანართი) გათვალისწინებით;

დ) უზრუნველყოს გერმანელი ჯარისკაცების სხეულის ნეშტების შესაბამის სამხედრო სასაფლაოზე გადასვენება.

2. ეთხოვოთ ქალაქ რუსთავის, გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებს, ხელი შეუწყონ გერმანელი სამხედრო ტყვეების საფლავებზე ზრუნვის სახალხო კავშირს განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე სამუშაოების განხორციელებაში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

დანართი

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციები საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ომში დაღუპულ გერმანელთა საფლავების მოძიებისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით

სსიპ-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო თანახმაა განკარგულებით განსაზღვრულ მიწის ნაკვეთებზე გერმანელი ჯარისკაცების სხეულის ნეშტების მოძიება (საკვლევი გათხრების წარმოებისათვის საჭირო სამუშაოები) განხორციელდეს მხოლოდ არქეოლოგის ზედამხედველობით.

სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი ქ. რუსთავში, მის სარგებლობაში არსებულ სასოფლო - სამეურნეო (პირუტყვის გადასარეკი ტრასა) დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის/უძრავი ქონების/საკადასტრო კოდი N02.05.01.385) „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ომში დაღუპულ გერმანელთა საფლავების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის 1993 წლის შეთანხმების მე-7 მუხლით გათვალისწინებულმა ორგანიზაციამ გერმანელი სამხედრო ტყვეების საფლავებზე ზრუნვის სახალხო კავშირმა (Volksbund Deutsche Kriegsgräberfürsorge e.V) განახორციელოს განკარგულებით გათვალისწინებული სამუშაოები იმ შემთხვევაში, თუ:

- ცხოველთა სეზონური გადარეკვის დროს (მაისი-ივნისი და ოქტომბერ-ნოემბრის თვეში) არ შეფერხდება ტერიტორიაზე (გადასარეკი ტრასა) ცხოველთა გადაადგილება და მათი ექტოპარაზიტების საწინააღმდეგო დამუშავების პროცესი;

- საჭიროების შემთხვევაში გამოიყოფა არსებული გადასარეკი ტრასის ალტერნატიული შემოვლითი გზა;

- არ მოხდება არსებული ინფრასტრუქტურის დაზიანება და ხელი არ შეეშლება ობიექტის ფუნქციონირებას, აგრეთვე შემდგომში სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებას და მოხდება პირვანდელი სახის აღდგენა.